საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№49/14 „29“ მაისი 2014 წ.

ს.ს. სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ. №7-ში სავაჭრო სახლის ”ბავშვთა სამყარო”-ს მისი რეკონსტრუქციის შესაძლებლობის მიზნით.
არსებული შენობა სარდაფის სართულის მქონე სამ სართულიანია. კონსტრუქციულად ანაკრები რკინაბეტონის ჩარჩოვანი. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები. საკვლევი შენობა ტექნიკურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს. „უნივერსალ პლიუსი“- ს მიერ. პროექტით გათვალისწინებულია შენობის მთავარი ფასადის მარცხენა მხარეს, თევდორე მღვდელის ქუჩის გასწვრივ, ღერძებში „1“-„2“; „ა“÷“დ“ ღერძებს შორის, ზედაპირის მოწყობა ნიშნულით ±0.00მ. (რაც შეესაბამება ადგილზე არსებულ ნიშნულს „2“ ღერძის მარჯვნივ.). ამ ნაწილში სარდაფის სართულის სიმაღლეა 420სმ. (იატაკის ნიშული -4.20მ.) „1“ ღერძის გასწვრივ სვეტების განივი კვეთებია b×h=60×80; b×h=80×80სმ; b×h=60×60სმ. აღნიშნული გამოწვეულია სვეტების დიდი თავისუფალი სიმაღლის (≈800სმ.) გამო სიხისტის გაზრდის მიზნით.
შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია და მიზანშეწონილი, რადგანაც შემცირდება სვეტის თავისუფალი სიმაღლე და ამ ნაწილში მოწყობილი რკინაბეტონის ფილოვანი კონსტრუქცია გააუმჯობესებს სვეტებისა და შესაბამისად შენობის მუშაობას სეისმურ ზემოქმედებაზე. რაც შეეხება ვერტიკალურ დატვირთვებს, მათი მნიშვნელობა მოიმატებს 40-45ტონა ძალით, რასაც არსებული სვეტები თავისუფლად აითვისებს.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/
მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/